ჯონ კენედი

50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

2019-08-27



50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

ტომი
37

ჟურნალ “ისტორიანის” ბიბლიოთეკა

გამომცემლობა პალიტრა L

ავტორი **ზურაბ აბაშიძე**
რედაქტორი ლადო იოსებაძე
კორექტორები: სვეტა კვარაცხელია, ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი ოთარ კანდელაკი
ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2019
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge; ტელ.: 238-38-71
www.palitral.ge

ორი სიტყვა შესავლად

ჯონ კენედიზე საუბრისა თუ წერისას მის ტრაგიკულ სიკვდილს ხშირად მის სიცოცხლეზე მეტ ყურადღებას უთმობენ. ზოგი ავტორი ამას სრულიად გაუმართლებლად მიიჩნევს, რადგან ამით მისი ცხოვრების გზა და ნამოღვაწარი იჩრდილება მაშინ, როდესაც ჯონ კენედი არა უბრალოდ გამორჩეული ხიბლის მქონე პოლიტიკოსი და თუნდაც სუპერსახელმწიფოს “რიგითი” პრეზიდენტი გახლდათ, არამედ შესამჩნევი კვალი დატოვა სახელმწიფოს ისტორიაში, თუმცა ერთი საარჩევნო ვადის დასრულებაც არ დასცალდა.

ბუნებრივია, 1963 წლის 22 ნოემბრის ტრაგედიამ იმდენად შეძრა ამერიკა და მსოფლიო, რომ ჯონ კენედის სახელის ხსენებისას პირველი იმპულსი, რომელიც გონებაში დღემდე გაკრთება ხოლმე, სნაიპერის ტყვიებით პრეზიდენტის განგმირვის სურათიდან მომდინარეობს: ღია “ლინკოლნით” მომავალი ჯონ კენედი იღიმის, ხალხს დროდადრო ხელის ქნევით ესალმება, მერე უეცრად შეშდება და მისი თავი მოწყვეტით წინ გადაქანდება; გვერდით მჯდომი ჟაკლინი ქმრის დასისხლიანებულ თავს გულში ჩაიკრავს; პირადი მცველი მანქანის საბარგულს შეახტება და მანამდე ნელა მოძრავი ლიმუზინი სიჩქარის აკრეფას იწყებს...

არანაკლებ შთამბეჭდავია აშშ-ის საპრეზიდენტო თვითმფრინავში მკვლელობიდან 2 საათის შემდეგ გადაღებული ფოტოები, რომლებზეც საპრეზიდენტო ფიცის დადებისას აღბეჭდილ ლინდონ ჯონსონსა და მის გვერდით მდგომ, ქმრის სისხლით მოსვრილ ვარდისფერ კოსტიუმში შემოსილ ჟაკლინ კენედის ვხედავთ; კიდევ — პრეზიდენტის დაკრძალვისას გადაღებული ახალგაზრდა ქვრივისა და მისი მცირეწლოვანი შვილების სურათები...

ამ მოვლენების ამსახველი კადრები ასობით წიგნის, ათასობით პერიოდული გამოცემის ფურცლებზე, უამრავ ფილმსა და ტელეგადაცემაში გამოჩენილა და თუმცა მომხდარი ტრაგედიიდან 55 წელზე მეტი გავიდა, მნახველზე დღემდე საოცარ ზემოქმედებას ახდენს.

მიუხედავად ამისა, მაინც ჯობს, სტერეოტიპს გადავუხვიოთ და თხრობა ჯონ კენედიზე არა მისი სიკვდილით, არამედ მისი ნაღვაწით დავიწყოთ. როგორც პრეზიდენტზე დაწერილი ერთ-ერთი წიგნის ავტორმა სამართლიანად აღნიშნა, მისი სიცოცხლე გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სულისშემძვრელი აღსასრული.

თავი I. ყველაზე ახალგაზრდა გამორჩეულთა შორის

ჯონ კენედის, როგორც პოლიტიკური ფიგურის დიდი პოპულარობის მიუხედავად, მის ბიოგრაფიაში და მიღწევებს შორის ბევრი მკითხველი აღბათ არაერთ ახალ ცნობასაც აღმოაჩენს. მაგალითად, იმას, რომ საკმაოდ ახალგაზრდა ჯონ კენედი ყველაზე წონადი და პრესტიჟული ამერიკული ჟურნალისტური ჯილდოს – პულიცერის პრემიის laureატი გახდა. მაშასადამე, კალამიც იმთავითვე უჭრიდა და გონებაც. კარიერა ჟურნალისტური საქმიანობით დაიწყო – მედიამაგნატ უილიამ ჰერსტის გამოცემათა რედაქციებთან თანამშრომლობდა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორმირების პროცესს აშუქებდა. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის მისაღებად, სუსტი ჯანმრთელობის გამო დაწუნებულმა, მამის გავლენიანი კავშირები გამოიყენა, შემდეგ სამხედრო დაზვერვის დანაყოფში სამსახურით არ დაკმაყოფილდა და ფლოტში ამოყო თავი, იქ კი, საბრძოლო მოქმედებების დროს კინაღამ დაიღუპა. შინ გმირად დაბრუნდა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მედლითა და კიდევ რამდენიმე, მათ შორის ძაღზე საპატიო ჯილდოთი – "მეწამული გულით" დაიმშვენა მკერდი.

1947 წელს მილიონერი მამის – ჯოზეფ კენედისა და მრავალრიცხოვანი საგვარეულო კლანის მხარდაჭერით, 30 წლის ჯონ კენედიმ პოლიტიკური კარიერის აწყობას მიჰყო ხელი: შეერთებული შტატების კონგრესის ქვედა – წარმომადგენელთა პალატის წევრობისთვის ბრძოლაში ჩაება. თუმცა მაშინ მშობლიურ შტატ მასაჩუსეტსის მოსახლეობაშიც ნაკლებად იცნობდნენ და "მშობლიურ" დემოკრატიულ პარტიაშიც, პირველივე ცდა წარმატებით დაგვირგვინდა – ჯონ კენედი კონგრესმენი გახდა, მერე კიდევ ორი ვადით იყო არჩეული, ხოლო 1953 წელს კონგრესის ზედა პალატის – სენატის დასაღაშქრავადაც "გაიწია". დაბრკოლებები ამჯერადაც გადალახა. სამგზის კონგრესმენობას (სენატორის 4-წლიანი ვადისგან განსხვავებით, კონგრესმენს 2 წლით ირჩევენ) ორგზის სენატორობა შემატა.

42 წლის კაცის კვალობაზე ერთობ სოლიდური პოლიტიკური ბიოგრაფია ჰქონდა, მაგრამ არც ისტებლიშმენტში და არც თვით დემოკრატიულ პარტიაში არავის ეგონა, თუ ჯეკს (როგორც შინაურები ეძახდნენ) რეალური შანსი ექნებოდა საპრეზიდენტო სავარძლისთვის ბრძოლაში. ახალგაზრდა ასაკთან ერთად, ამას კიდევ ორი სერიოზული დაბრკოლება ეღობებოდა: ირლანდიური წარმოშობა და კათოლიკური სარწმუნოება: უმეტესად პროტესტანტულ აშშ-ში კენედიმდე პრეზიდენტად არც ერთი კათოლიკე არ აურჩევიათ, ხოლო ირლანდიელები XX საუკუნის შუა პერიოდისთვისაც, წარმოშობით ინგლისელებთან შედარებით, ნაკლებად პრივილეგირებულ ეთნოსად ითვლებოდნენ.

კენედის კლანის სრულმა მობილიზებამ, მისი "თავის" – ჯოზეფის წინამძღოლობით, ჯონის შეუპოვრობამ და პიროვნულმა ხიბლმა, უმცროსი ძმის, რობერტის ორგანიზაციულმა ნიჭმა – ამ ყველაფერმა ერთად, მამის სანუკვარი ოცნება რეალობად აქცია. მართალია, ეს ოცნება მის გონებაში იმთავითვე უფროს შვილს

– ჯოზეფ-უმცროსს უკავშირდებოდა, მაგრამ ჯეკისგან განსხვავებით, სამხედრო მფრინავი ჯო კენედი ომის ქარცეცხლიდან ცოცხალი ვერ გამოვიდა: 1944 წელს საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა...

ჯონ კენედის საპრეზიდენტო მოღვაწეობა ერთობ რთულ ვითარებაში იწყებოდა. ყოფილი სახელოვანი გენერლის, ხნოვანი, დაღლილი პრეზიდენტის – დუაიტ ეიზენჰაუერის მმართველობის ბოლო პერიოდი სახელმწიფოს ეკონომიკისა თუ საერთაშორისო გავლენის დასუსტებით აღინიშნებოდა. ქვეყნის განვითარებას რაღაც ბიძგი, ახალი სტიმული სჭირდებოდა. მესაჭის როლში კი აშშ-ის ისტორიაში უჩვეულოდ ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა (არჩეულ პრეზიდენტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა, ხოლო მოქმედ პრეზიდენტებს შორის, რამდენიმე თვით მხოლოდ თეოდორ რუზველტს "ჩამორჩებოდა", რომელიც ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და 1901 წელს პრეზიდენტ უილიამ მაკკინლის მკვლელობის შემდეგ გახდა სახელმწიფოს მეთაური), რომლის წინაშეც სულ მოკლე ხანში ურთულესი პრობლემები და უდიდეს საფრთხესთან გამკლავების ამოცანა დადგა. აქედან გამომდინარე, კენედიმ წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ ლოზუნგად, "ახალი მიჯნის" კონცეფცია წამოაყენა.

ამ კურსის ძირითადი მიმართულებები და საკუთარი მსოფლაღქმა კენედიმ 1961 წლის 20 იანვარს თავის ბრწყინვალე საინაუგურაციო სიტყვაში მონიშნა და თეთრ სახლში შესვლის დღიდან მოყოლებული, მისი რეალიზაციისთვის საჭირო ნაბიჯებსაც დგამდა.

მისი მკვლელობით შეკვეცილი (არასრული 3 წელი) მმართველობის პერიოდში, აშშ-ის ერთიანი ეროვნული პროდუქტი 543-დან 685 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ამ მაჩვენებლის ზრდის ყოველწლიური ნიშნული 6%-ს აღწევდა, ხოლო ინფლაციის დონე 1%-ს არ აღემატებოდა. მისი ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით მიიღეს კანონი სამოქალაქო უფლებების შესახებ, რომელიც კანის ფერის მიხედვით ადამიანის უფლებების შეზღუდვის ნებისმიერ გამოვლინებას კრძალავდა და დასაბამი მისცა ფერადკანიანთა უუფლებობის საკანონმდებლო დონეზე აღკვეთას, რაც თავის დროზე, ზანგების მონობისგან გათავისუფლებით აბრაამ ლინკოლნმა დაიწყო.

უფლებამოსილების დაწყებიდან ორ თვეში ჯონ კენედიმ შექმნა ორგანიზაცია "მშვიდობის კორპუსი", რომლის დანიშნულებაც, ნებაყოფლობით საფუძველზე, გაუნათლებლობის დაძლევის, ელემენტარული შრომითი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დაუფლებაში განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა იყო.

პრეზიდენტი კენედი ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზეც. მისმა "საგარეო დებიუტმა" – კუბაში ფიდელ კასტროს ხელისუფლების დამხობის მიზნით – ჯერ კიდევ წინამორბედი პრეზიდენტის დროს დაგეგმილმა დესანტის გადმოსხმამ ლორების ყურეში – სრული მარცხი განიცადა. მომდევნო, 1962 წელს კი ე. წ. ბერლინის კრიზისისა და კარიბის კრიზისის გადაჭრის ურთულესი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა, რომლებიც საბჭოთა კავშირთან პირდაპირი შეტაკებისა და ბირთვული ომის დაწყების საფრთხეს უქადდა მსოფლიოს. სამხედრო მაღალჩინოსანთა უმრავლესობის წაქეზების მიუხედავად, ჯონ კენედიმ პრობლემის გადასაჭრელად ძალის გამოყენებაზე უარი თქვა და კაცობრიობას უდიდესი კატასტროფა აარიდა.

კენედის მმართველობა აღინიშნა აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნების განვითარებისთვის შედგენილი საგანგებო პროგრამის – "პროგრესისთვის გამიზნული კავშირის" განხორციელებით, კოსმოსის განვითარების პროგრამა "აპოლოს"